საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუტი სიტყვაა, ტყეილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკეთესობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 6 მაისი. 2022 წ. №57 (9395) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

საქართველო – უკრაინისთვის

ირაკლი ღარიბაშვილი:

ვგმობთ რუსეთის მასშტაბურ აგრესიას უკრაინის წინააღმდეგ, სრული სოლიდარობით ვდგავართ საერთაშორისო საზოგადოების გვერდით და გავაგრძელებთ უკრაინის მხარდაჭერას

– ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა პოლონეთში, საერთაშორისო კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა თქვა, ომმა უკრაინაში გამოიწვია მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული კრიზისი რეგიონში და საქართველოს მთავრობა ეხმარება ქვეყანაში მყოფ უკრაინელებს.

„მადლობა შვედეთის და პოლონეთის პრემიერ-მინისტრებს მასპინძლობისთვის, ასევე ევროპული საბჭოს პრეზიდენტს და ევროკომისიას, თქვენ ყოველთვის იყავით საქართველოს მჭიდრო პარტნიორები ინტეგრაციის გზაზე. უპირველეს ყოვლისა მინდა ვახსენო, რომ ვგმობთ რუსეთის მასშტაბურ აგრესიას უკრაინის წინააღმდეგ, რაც არის ნათელი და უხეში დარღვევა საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო კანონმდებლობის და გაერო-ს ქარტიის. ამ ომის შედეგი განსაზღვრავს ევროპის უსაფრთხოების სამომავლო არქიტექტურას და ამ რეგიონის უსაფრთხოებისთვის შექმნის სამომავლო საფუძველს.

მისივე თქმით, საქართველოს მთავრობა სრულად სოლიდარულია უკრაინელი ხალხის მიმართ.

„ჩვენ მობილიზაციას მოვახდენთ ჩვენი რესურსებისას, რომ დავეხმაროთ ქვეყანას. სრული სოლიდარობით ვდგავართ საერთაშორისო საზოგადოების გვერდით და გავაგრძელებთ უკრაინის მხარდაჭერას პოლიტიკურად და ჰუმანიტარულად როგორც მრავალმხრივ, ისე ორმხრივ ფორმატებში. საქართველოს კონტრიბუცია, რომელიც უკვე განხორციელდა, შეადგენს 7 მილიონ ამერიკულ დოლარს და გავაგრძელებთ დახმარებას დაახლოებით 28 000 უკრაინელი მოქალაქის, რომლებიც ომის შემდეგ ცხოვრობენ საქართველოში. 5 ტონაზე მეტი დახმარება გაიგზავნა უკრაინაზე სახმელეთო და საჰაერო გზით.

ჩემი მთავრობა ეხმარება ქვეყანაში მყოფ უკრაინელებს დაბინავებაში, სამედიცინო მომსახურებაში, სკოლებისა და ბაღების წვდომის საკითხებში უფასოდ. ჩვენ გავაგრძელებთ მოძმე ერის დახმარებას დამატებით 7 მილიონი დოლარით 2022 წლის ბოლომდე. ჩვენი მოქალაქეები და არასამთავრობო ორგანიზაციები უკრაინის მოქალაქეებს ეხმარებიან ასევე დაბინავებასა და სხვა საკითხებში. საქართველო პირველ ადგილზე არის 190 ქვეყანას შორის უკრაინის ფოსტის ინფორმაციით ჰუმანიტარული დახმარების კუთხით და აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ის ერთობა, რომლითაც საერთაშორისო თანამეგობრობა გამოდის უკრაინის დასახმარებლად, საჭიროებს მყისიერ და ქმედით ნაბიჯებს. კიდევ ერთხელ, უკრაინას და უკრაინელ ხალხს მშვიდობასა და აღმავლობას ვუსურვებ“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პოლონეთში დონორთა მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენცია „უკრაინისთვის“ მიმდინარეობს. კონფერენციის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა მატეუშ მორავიეცკიმ, უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ, ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მონაწილეობდა კონფერენციის ფარგლებში დაგეგმილ საქველმოქმედო სესიაშიც.

დიდი მათემატიკოსი, მეცნიერების ორგანიზატორი და მთაწმინდის უკვდავი ბინადარი

ილია ვეკუა – 115

5

კელი დეგნანი: დადექით ერთად და შეწყვიტეთ ერთმანეთზე თავდასხმა!

2

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია იზიარებს წულუკიძეებისა და კოსტავების ოჯახების ტრაგედიას და გამძლეობას უსურვებს ჩვენს ფუძეძლიერ და საამაყო კოლეგას ნიკა წულუკიძეს!

ყველასთვის მომაბეზრებელი არსებულ!..

2

27 წელი იყო ციხეში ნელსონ მანდელა და ხალხმა პრეზიდენტად დასვა ამ შეუპოვროებისთვის – სააკაშვილი თუ ასეთი სუსტია, პოლიტიკურ არენაზე გამოშვებას არ იმსახურებს!

3

ირაკლი კობახიძე:

სააკაშვილი ფსიქიკური პრობლემებით პრეზიდენტობას ახერხებდა და პატიმრობასაც მოახერხებს!

პრეზიდენტი: უკრაინელები ზოგჯერ უფრო მეტს ითხოვენ პარტნიორებისგან, უხეში სიტყვებიც გამოიყენეს სხვადასხვა ლიდერის მიმართ!..

უკრაინელები ხანდახან უფრო მეტს ითხოვენ პარტნიორებისგან, არა მარტო საქართველოსგან, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა Deutsche Welle-სთან ინტერვიუში.

„უკრაინელები ზოგჯერ უფრო მეტს ითხოვენ პარტნიორებისგან, არა მარტო საქართველოსგან. უხეში სიტყვები გამოიყენეს სხვადასხვა პარტნიორის მიმართ, მათ შორის ბლინკენის მიმართ, როდესაც ის კიევში ჩადიოდა, უთხრეს: „ნუ წამოიღებთ შოკოლადებს, წამოიღეთ იარაღი“. მათ სურთ საქართველოსგანაც მიიღონ იარაღი, რომ საქართველომ გახსნას მეორე ფრონტი. ეს ყველაფერი შეუძლებელია. მე ვფიქრობ, რომ საქართველოს მთავრობა უფრო რეალისტურად უყურებს იმას, თუ რისი გაკეთება შეუძლია საქართველოს ამ ეტაპზე. გვაქვს ორი ოკუპირებული ტერიტორია, რომელთაგან ერთ-ერთი ახლა რუსეთთან შეერთების შესახებ რეფერენდუმის გამართვაზე საუბრობს. ცხადია, სიფრთხილე გვმართებს, რადგან ბევრი შესაძლებლობა არ გვაქვს და არავინ იქნება მზად, საქართველოს მსგავსი გზით მხარი დაუჭიროს, მაგრამ ეს არანაირად არ ცვლის ჩვენი სოლიდარობის დონეს“, — აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა.

კელი დეგნანი: დადექით ერთად და შეწყვიტეთ ერთმანეთზე თავდასხმა!

ამერიკის შეერთებული შტატები ყურადღებით აკვირდება და ეცნობა საქართველოში მიმდინარე პროცესებს, რადგან საქართველო ამერიკის მნიშვნელოვანი პარტნიორია. ჩვენ მოხარული ვართ, რომ პოლიტიკური ლიდერები პარლამენტში მუშაობენ, რადგან ეს არის ადგილი, სადაც ცვლილებებისა და პროგრესის მიღწევა უნდა მოხდეს, — ამის შესახებ ამერიკის ელჩმა საქართველოში კელი დეგნანმა ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მმართველი პარტიისა და ყველა ოპოზიციური ლიდერის თანამშრომლობა გაგრძელდეს ქართველი ხალხისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე, კერძოდ, ეკონომიკაზე, განათლებასა და საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე.

„ახლა არ არის ერთმანეთთან ბრძოლის, ერთმანეთთან ჩხუბის დრო. ახლა არის დრო, როდესაც ყველა უნდა გაერთიანდეს, ერთად დადგნენ და შეწყვიტონ ერთმანეთზე თავდასხმა. ეს მნიშვნელოვანი მესიჯი იქნება არა მხოლოდ ქართველი ხალხისთვის, არამედ რუსეთისთვის, რომელიც ყოველთვის ცდილობს, რომ გახლიჩოს, დაყოს ეს ქვეყანა, შეიტანოს დაბნეულობა. ქართველი ხალხის ერთიანობა, რა თქმა უნდა, ამაში ხელს შეუშლის. ასე, რომ ჩვენი, ამერიკის პოზიცია და მესიჯი არის გაერთიანდნენ, დადგნენ ერთად და ერთად იმუშაონ იმ საკითხებზე, რაც ქართველი ხალხისთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია. სწორედ ამაში უნდა დაიხარჯოს ახლა ენერგია“, — განაცხადა კელი დეგნანმა.

რატი ბრეგაძე: მე გავაკეთებ ყველაფერს, რომ დასაბუთებული დასკვნების საფუძველზე მიღებული ექიმების რეკომენდაციები შესრულდეს

სახალხო დამცველის კონსილიუმის მიერ მომზადებულ დასკვნაზე სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ გავუგზავნეთ რამდენიმე შეკითხვა, რომელზეც გვინდა რომ მივიღოთ პასუხი. სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს ეს პასუხები არ მიუღია, — ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ განაცხადა.

„სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა კონსილიუმს მიაწოდა ყველა ინფორმაცია, რაც ესაჭიროებოდათ. როდესაც საუბარი იყო ალბუმინის მაჩვენებელთან დაკავშირებით, ანალიზი რომლის საფუძველზეც ეს პარამეტრი ნორმაშია, ხელმისაწვდომი იყო სახალხო დამცველის ექსპერტთა ჯგუფისთვის. სახალხო დამცველს მივმართეთ შეკითხვებით იმისთვის, რომ თუ არსებობს რაიმე პრობლემა, დაიგეგმოს სწორი მკურნალობა. სახალხო დამცველის მიერ გავრცელებულ პასუხში ნათქვამია, რომ იუსტიციის მინისტრის მიერ დასმული შეკითხვები მოითხოვს კვალიფიციურ მსჯელობას. მინდა ვთქვა, რომ ეს შეკითხვები არ დაუსვამს იუსტიციის მინისტრს. ეს შეკითხვები დასვეს ექიმებმა. მე არ ვარ ექიმი და მე არ შევალ სამედიცინო დისკუსიაში. მე გავაკეთებ ყველაფერს, რომ დასაბუთებული დასკვნების საფუძველზე მიღებული ექიმების რეკომენდაციები შესრულდეს, როგორც ეს კეთდებოდა ყოველთვის, როგორც სააკაშვილთან, ასევე ნებისმიერ სხვა პატიმართან მიმართებაში“, — განაცხადა რატი ბრეგაძემ.



ყველასთვის მომაბეზრებელი არსებაა!..

27 წელი იყო ციხეში ნელსონ მანდელა და ხალხმა პრეზიდენტად დასვა ამ შეუპოვრობისთვის - სააკაშვილი თუ ასეთი სუსტია, პოლიტიკურ არენაზე გამოშვებას არ იმსახურებს!

„ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ინიცირებული დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა, რომელმაც მიხეილ სააკაშვილის მიმართ არაადამიანური მოპყრობა უნდა გამოიძიოს, ჩავარდა.

პარლამენტის ოპოზიციური ფრთა მხარს არ უჭერს ინიციატივას, რადგან არ სჯერათ, რომ მიხეილ სააკაშვილი ციხეში აწამეს. პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, არანაირი საფუძველი ასეთი კომისიის შექმნას არ აქვს.

„იანვრიდან არის ეს საკითხი დღის წესრიგში და არ გამოაქვს „ნაციონალურ მოძრაობას“. მათ ოპოზიციაში აქვთ საკმარისი რაოდენობა ხმების, თუ არის ეს სურვილი, უნდა დაარწმუნონ თავიანთი კოლეგები, რომ კომისია შექმნან. საკითხის არგამოტანა იმას აჩვენებს, რომ იციან, მხარდამჭერები არ ჰყავთ. ჩაკარგული იყო დღის წესრიგში, ამიტომ მნიშვნელოვანია გადაწყვიტონ — ან უნდა ამოიღონ დღის წესრიგიდან, ან უნდა ჩამოყალიბდნენ რამენაირად ამ საკითხზე“, — განაცხადა **შალვა პაპუაშვილმა.**

აღსანიშნავია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ კომისიის შექმნის მიზანშეწონილობას ვერ ასაბუთებს. სააკაშვილის მიმართ არაადამიანური მოპყრობის საქმე წარმოებაში არ მიიღო სტრასბურგის სასამართლომ და თქვა, რომ საქმის განხილვის საფუძველი არ არსებობს. ამის მიუხედავად, „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატი **რომან გოცირიძე** აცხადებს, რომ კომისიის შესაქმნელად ერთი ხმა აკლდებათ და გახარიას გუნდს პარლამენტში მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებული საგამოძიებო კომისიის შექმნის მხარდაჭერისკენ მოუწოდა.

„უნდა მოვუწოდო ბატონ გახარიას, ერთი ხმა გვაკლია საგამოძიებო კომისიის შესაქმნელად, თავი რომ ოპოზიციონერად მოაქვს ამ პარტიას — კეთილი ინებოს და ჭეშმარიტების დადგენას შეუწყოს ხელი, წაადგება მას, ცოდვების ჩამოსარეცხადაც. მიხეილ სააკაშვილის სამკურნალოდ გადასაყვანად ყველა ბერკეტი იქნება გამოყენებული, მათ შორის საპარლამენტო ბერკეტები, აქციები და საერთაშორისო მხარდაჭერის მობილიზება. ყველა ხერხი იქნება გამოყენებული, რათა მივაღწიოთ ერთ პატარა მიზანს - გადაიყვანონ მიხეილ სააკაშვილი უცხოეთში სამკურნალოდ, აქ მისი მკურნალობის შანსი არ არსებობს, რადგან ეს არ სურს ხელისუფლებას“, — აცხადებს **რომან გოცირიძე.**

მოწოდების მიუხედავად, სააკაშვილთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისიის შექმნას მხარს არ უჭერს გახარიას პარტია. **ბექა ლილუაშვილის** განცხადებით, თუ ვინმემ ხელი უნდა მოუწეროს მათ ამ კომისიის შექმნაზე, ეს არის კობახიძე. პარტია „საქართველოსთვის“ დეპუტატი ამბობს, რომ კომისიის შექმნით, რეალური პრობლემები გადაიფარება, რაც „ქართულ ოცნებას“ აწყობს.

„ამ პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას, ცოტა შეუთავსებელია და „ნაციონალური მოძრაობის“ თანმიმდევრულობა კითხვის ნიშნის ქვეშ არის, რადგან მათ კომისიის შექმნის არგუმენტად გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა მოჰყავთ. ყველას ჯანმრთელობას ვუსურვებ, მათ შორის — სააკაშვილსაც, მაგრამ ეს არათანმიმდევრული და შეუთავსებელი არგუმენტია. არავის არ უნდა მიეცეს საშუალება, რომ სააკაშვილის ირგვლივ პროცესებით გადაფაროს რეალური დღის წესრიგი, პირველ რიგში, ეს ხელს აძლევს „ოცნებას“, — განაცხადა **ბექა ლილუაშვილმა.**

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელი **მიხეილ სარჯველაძე** ამბობს:

„ჯანმრთელობის იმ მდგომარეობასა და გაუარესებაზე, რომელზეც სააკაშვილის გულშემატკივრები საუბრობენ, აქედან გამოსავალი არ არის ის, რაც მათ მიერ მოთხოვნის სახით არის წამოყენებული, მაგალითად უცხოეთში წაყვანა. პრობლემები, რომლებიც შეიძლება დავსახოთ როგორც პრობლემა სააკაშვილის ჯანმრთელობისა — მოწესრიგებადია, მათ შორის პენიტენციურ დაწესებულებაშივე. ამას სჭირდება, უბრალოდ, ნება და არა სიჯიუტე“.

* * *

უმრავლესობის წევრის **ირაკლი ქადაგიშვილის** განცხადებით, მიხეილ სააკაშვილს აქცენტი თვითდაზიანებაზე აქვს გაკეთებული, რათა მიყენებული ზიანით ციხიდან გათავისუფლდეს. მისი თქმით, სააკაშვილი თვითდაზიანებას თავს თუ დაანებებს, ასეთ შემთხვევაში, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უკეთესი იქნება. დეპუტატი მოუწოდებს სააკაშვილის ოჯახის წევრებს, ექიმებსა და სახალხო დამცველს, რომ მიმართონ განცხადებით სააკაშვილს, რომ ექიმების მკურნალობასა და ჯანსაღი კვების კურსს დაჰყვეს.

„მიხეილ სააკაშვილის გარშემო შექმნილი მდგომარეობა მრავალმხრივ რთულია — მისმა შემოპარვამ, გარკვეულწილად, მისი პარტიაც მოულოდნელობის რეჟიმში ჩააგდო. ადამიანები მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით ქუჩაში არ გამოდიან. აქედან გამომდინარე, „ნაციონალური მოძრაობის“ ამოცანა რთულად შესასრულებელია.

იგივე დასავლეთის ქვეყნებისთვისაც გაუგებარია, მიხეილ სააკაშვილის ამ ნაბიჯების შემდეგ როგორ შეიძლება მოხდეს მისი პოლიტპატიმრად, სინ-

გია ვოლსკი: სააკაშვილი თვითგვემას ეწევა...

...ვხედავთ, რომ მიხეილ სააკაშვილი თვითგვემას ეწევა და გარკვეულწილად ამას თვითდაზიანებაც დავარქვათ, რადგან კონკრეტული ადამიანისთვის შეთავაზებული მკურნალობა არის მიუღებელი. ჯანდაცვის საკითხები პოლიტიკოსების მსჯელობის საგანი არ უნდა იყოს, ეს ექიმების საქმეა. ბიძინა ივანიშვილი არის ოპოზიციის შეტევის სამიზნე, ეს მუდმივად ასე იქნება და არ მოიშლება. რასაკვირველია, ამის გამო იკარგება ის პროექტი, როცა მთელი მთაწმინდის ფერდობი და ნარგავები უნდა შეიცვალოს მისი ორგანიზაციის ქველმოქმედებით და თბილისმა სუფთა ჰაერის ახალი ტალღა უნდა მიიღოს. ასევე ახორციელებს უშველებელ პროექტს სიმსივნის სამკურნალოდ. ეს არის მისი მთავარი ამოცანები და პროექტები. რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილთან დეპუტატის შესვლის საკითხს, ეს ბიძინა ივანიშვილის კომპეტენციის სფეროდანაც გადის და პოლიტიკაში არ მონაწილეობს. დიმიტრი ხუნდაძის ან დავით სერგეენკოს ციხეში შესვლა არის მხოლოდ ის თამაში, რომელსაც სააკაშვილი საზოგადოებას კარნახობს. რასაკვირველია, სერგეენკო და ხუნდაძე ამაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. თუ ადამიანი თვითგვემას და თვითდაზიანებას ეწევა, რასაკვირველია, მას არ შეიძლება ჯანსაღი შესახედაობა ჰქონდეს, თუნდაც, როცა სასამართლოში მღერის, მხარდამჭერებს აჯანყებისკენ ან მასიური მღელვარების ორგანიზებისკენ მოუწოდებს. ეს არაჯანსაღად მიმაჩნია, მაგრამ პროფესიონალი არ ვარ, საკმაოდ ბევრი პროფესიონალია, რომ მას შესაბამისი მკურნალობა გაუწიონ, — განაცხადა ვოლსკიმ.

სამარცხვინო არსება, უკრაინელი მიხაილო პოდოლიაკი!

„ოცნების“ რეაქცია პოდოლიაკის კრიტიკაზე: „სამარცხვინო არსება“, „თავის საქმეს მიხედოს“

„ქართულ ოცნებაში“ უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მრჩევლის მიხაილო პოდოლიაკის კრიტიკას ეხმიანებიან და უკრაინელ პოლიტიკოსს ურჩევენ, „თავის საქმეს მიხედოს!“

„არავინ ეკითხება უკრაინის ხელისუფლების არცერთ წარმომადგენელს, საქართველოს ხელისუფლებაში ვინ იქნება და არც არასდროს არ შეეკითხება. საქართველოს, უკრაინის მეგობარ ქვეყანას, რომელიც ყველაფერს აკეთებს, რა ბერკეტიც გაგვაჩნია, მის დასახმარებლად, ასე უაპელაციოდ და უპასუხისმგებლოდ ადანაშაულებს, ნუ, უბრალოდ, არასერიოზულად აღიქმება უკვე. თავიანთ საქმეს მიხედონ, ურჩევნიათ! ძალიან მძიმე მდგომარეობაშია ეს ქვეყანა და მე მინდა ვუსურვო გამარჯვება, წარმატება, ამ ომის დასრულება, მაგრამ თავის საქმეს მიხედონ! ტყუილად ნუ ცდილობენ კეთილგანწყობილი, მეგობარი ხალხი რაღაცნაირად გაანაწყენონ და წარმოშვან კითხვები ჩვენს ურთიერთობებში“, — განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა **ბიძა დავითულიანმა**.

„ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი **კახა კალაძე** პოდოლიაკს „სამარცხვინო არსებას“ უწოდებს:

„პოდოლიაკის განცხადება არის სამარცხვინო. ჩვენ არაერთი სამარცხვინო განცხადება მოგვისმენია და ჩემი თხოვნა იქნება, ძალიან მარტივად, ჩაეძიოთ და მოიძიოთ, ვინ არის პოდოლიაკი. ძალიან ბევრ საინტერესო ინფორმაციას მიიღებთ. მე უკრაინასთან ძალიან მჭიდრო კავშირები მაქვს, წლების განმავლობაში ვცხოვრობდი, იქ ვთამაშობდი და ასეთი არსებები, როგორიც პოდოლიაკია, არიან სამარცხვინონი. ჩემი თხოვნა იქნება, ნახეთ, ვინ არის, რა ცხოვრებით ცხოვრობდა და რას წარმოადგენდა ვინმე პოდოლიაკი“.

„ამოუცნობია, როგორ შეიძლება ქართველ ხალხს ჰყავდეს ისეთი ოლიგარქი, როგორიც ივანიშვილია“, — აღნიშნულის შესახებ **მიხაილო პოდოლიაკი** „ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში აცხადებს.

„ქართველი ხალხისგან ნამდვილად ვგრძნობთ მხარდაჭერას. მე ბევრი ქართველი მეგობარი მყავს. შესანიშნავი ხალხია — ძალიან ამაყი და ძლიერი. ჩემთვის უბრალოდ ამოუცნობია, როგორ შეიძლება ასეთ ხალხს ჰყავდეს ისეთი ოლიგარქი, როგორიც ივანიშვილია. სულ ესაა. თუმცა ოლიგარქები ძალიან სპეციფიკური სუბიექტები არიან. განსაკუთრებით, ყოფილ საბჭოთა კავშირში. ისინი ხშირად არ შეესაბამებიან იმ ხასიათსა და ბირთვს, რაც რეალურად ხალხს აქვს. მე ქართველები ძალიან მომწონს. სამწუხაროდ, სასურველი იქნებოდა, გაიხსენონ, რომ ძალიან ამაყი და ძლიერი ადამიანები არიან“, — აცხადებს **პოდოლიაკი**.

ირაკლი კობახიძე: სააკაშვილი ფსიქიკური პრობლემებით პრეზიდენტობას ახერხებდა და პატიმრობასაც მოახერხებს!

სააკაშვილს უნდა სცოდნოდა, რომ საქართველოში რისკის ფასად ჩამოდიოდა. მას უნდა გაეცნობიერებინა, რომ ხელისუფლების გადატრიალების მცდელობა ვერ იქნებოდა ურისკოდ. ახლა სიმულანტობს და ცდილობს, დააღწიოს საპატიმროს თავი, ეს გამორიცხულია. ვერავითარი თვითდაზიანება, ან მსგავსი ვერ გახდება მისი ვერც გათავისუფლების, ვერც სხვა ქვეყანაში გადაყვანის და ვერც შინაპატიმრობის საფუძველი. ასე რომ არ იყოს, ყველა პატიმარი ამას გააკეთებდა, — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ განაცხადა. მისი თქმით, მაშინ როდესაც სააკაშვილს ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა, კონკრეტული ადამიანები პრეზიდენტად ირჩევდნენ, დღეს კი იგივე ადამიანები ითხოვენ, რომ სააკაშვილი ფსიქიკური პრობლემების გამო საპატიმროდან გათავისუფლდეს...

„არავითარი ოფიციალური დიაგნოზი და დასკვნა არ არსებობს. ვიზუალური დათვალიერებით, რომ რაღაც დასკვნები გამოდის, ამას სერიოზული აღქმა ვერ ექნება ჩვენი მხრიდან. რაც შეეხება ანორექსიას, ეს არ არის ფიზიოლოგიური პრობლემა, ესაა ფსიქიკის თემა. ზოგადად, სააკაშვილს, რომ ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა, ეს დიდი ხანია ვიცით, თუმცა ამ ფსიქიკური პრობლემებით იგივე ადამიანები ორჯერ ირჩევდნენ მას პრეზიდენტად. იგივე ადამიანები, რომლებიც ამ ფსიქიკური პრობლემებით ირჩევდნენ სააკაშვილს პრეზიდენტად დღეს ფსიქიკური პრობლემების გამო ითხოვენ მის გათავისუფლებას. ფსიქიკის პრობლემები ჩვენ ვიცოდით დიდი ხანია. ეს კაცი ამ ფსიქიკური პრობლემებით იყო პრეზიდენტი და დღეს არის პატიმარი და, ბუნებრივია პატიმრად დარჩება. თუ გართულდება ეს ფსიქიკური პრობლემები, შეიძლება მისი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაყვანა გახდეს საჭირო, მაგრამ აქამდე ამ ფსიქიკური პრობლემებით ის პრეზიდენტობასაც ახერხებდა და მე მგონი, პატიმრობასაც მოახერხებს“, — განაცხადა კობახიძემ.

დისის პატიმრად გამოცხადება თუ შეწყალება, მით უფრო, რომ სასამართლო პროცესებზე მუდმივად გამოდის ხელისუფლების შეცვლის არაკონსტიტუციური მოწოდებებით. როდესაც სააკაშვილის გასათავისუფლებლად სამართლებრივი და პოლიტიკური მხარე არ მუშაობს, იწყება სპეკულაციები ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით. მას ყველა ის სამედიცინო სერვისი მიეწოდება, რაც პატიმარს შეიძლება მიეწოდებოდეს“, — განაცხადა **ირაკლი ქადაგიშვილმა.**

* * *

ეძიმების გადაწყვეტილების შეფასებისგან თავს იკავებს ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძე,** რომლის თქმით, პროცესი, რომელიც სააკაშვილის თითქოსდა ჯანმრთელობის მდგომარეობას ეხება დიდი ხანია გრძელდება და მომაბეზრებელიც კი გახდა საზოგადოებისთვის.

„მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესით დაინტერესებული არის ცალკე „ნაციონალური მოძრაობა“, არც „ქართული ოცნებისთვის“ არის ეს მთლად ურიგო თემა. მედია-საშუალებები ძირითადად გადართული არიან — რა და როგორ მოხდება? გამოუშვებენ, თუ გაიყვანენ ქვეყნიდან სააკაშვილს? მაგრამ საზოგადოებას ეს საკითხი არ აინტერესებს. ახლა, რა განვითარება ექნება ამ პროცესს, რთული და ძნელი სათქმელია, მაგრამ მგონია, რომ ოპოზიციისთვის უარეს ვარიანტში სააკაშვილი შეესაძლებელია, ისევ გადაიყვანონ გორის სამხედრო ჰოსპიტალში.

როგორც ექიმებისგან მოვისმინეთ, ის თავად ამბობს უარს საკვების, ცილების და მედიკამენტების მიღებაზე. თუ თავად ამბობს უარს, მაშინ აქ რა შეიძლება ითქვას? გარემო შეიცვალოს? ანუ, ლაპარაკია იმაზე, რომ პროტესტი აქვს გარემოსთან მიმართებაში და მაშინ გამოდის, რომ შიმშილობა ალტერნატიული ვარიანტია. ეს ვარიანტიც ისე დასრულდება, როგორც წინა შიმშილობა. ამ პროცესს რომ რაღაცა მნიშვნელოვანი გამოხმაურება მოჰყვეს საზოგადოებაში, ეჭვი მეპარება. არ არის დღეს ის განწყობა მოსახლეობაში, რომ ასეთი პროცესებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი კრიზისი შეიქმნას. არაფერი ასეთი არ ხდება. ამიტომ მგონია, რომ ეს პროცესიც ისე მშვიდობიანად ჩაივლის, როგორც მისმა წინა შიმშილობამ ჩაიარა“, — აცხადებს For.ge-სთან საუბრისას **ვახტანგ ძაბირაძე.**

ფსიქოლოგი, პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** თვლის, რომ სასურველია შედგეს ექიმების ახალი ჯგუფი და ამ შემთხვევაში ეს ჯგუფი დაკომპლექტებული იყოს უცხოეთიდან მოწვეული ექიმებისგან, რომ წერტილი დაესვას სააკაშვილის ჯანმრთელობისა და შიმშილობის თემას.

„ერთხანს შიმშილობდა და ვნახეთ, შიმშილობის დროს ფაფას როგორ მირთმევდა. ახლა არ შიმშილობს, მაგრამ ექიმები ამბობენ, რომ რაღაცებს არ იღებესო. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ექიმები, რომლებიც ისე თავდადებული არიან „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ, გამოცხადებულიც კი აქვთ, რომ თუ სააკაშვილს არ დაუკმაყოფილდება რაღაცა მოთხოვნები, ჩვენ უარს ვიტყვით ავადმყოფების მიღებაზეო — ანუ, ჰიპოკრატეს ფიცს გადააბიჯეს. ანალოგიური განცხადებები ახლაც ისმის.

ექიმიც ადამიანია და შეიძლება სიმპათია-ანტიპათია ჰქონდეს და შეიძლება ფანატიკური სიყვარული ჰქონდეს ვინმესი, ამისგან დაზღვეული არავინაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათი დასკვნები სანდო იქნება. უბრალოდ, თვითონ მათ შეიძლება მოეჩვენოთ, რომ ის ვერსია, რასაც ავითარებენ სააკაშვილის მძიმე მდგომარეობის შესახებ, არის სწორი — რახან თვითონ არიან ტენდენციურები სააკაშვილის მიმართ“, — ამბობს ფსიქოლოგი.

რაც შეეხება ანორექსიას, რომელიც თითქოსდა განუვითარდა პატიმარ სააკაშვილს, როგორც საყვარელიძე აცხადებს, ბევრ შემთხვევაში ანორექსია არის ფსიქოგენური, მაგრამ ლაპარაკი იმაზე, რომ ციხეში კომფორტულად არ არის და ამიტომ ანორექსია დაეწყოო, ფსიქოლოგისთვის დამაჯერებელი არ არის.

„დავიჯეროთ, რომ ციხის შემადგელობაში მარტო სააკაშვილს აქვს საიმისო დისკომფორტი, რომ ანორექსია დაეწყო? ეს ხომ ციხეა! აღარ ვიხსენებ თვითონ სააკაშვილის პერიოდში როგორი იყო ეს ციხე, მაგრამ კომფორტის ადგილი ციხე არ არის. ამიტომ, ლაპარაკი იმაზე, რომ კომფორტულად არ არის და ანორექსია დაეწყოო, მეჩვენება, რომ არ არის დამაჯერებელი. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ანორექსიის თემაც კიდევ ცალკე თემაა და თავისი მიზეზები აქვს.

ანორექსიას ლოგიკური კავშირი აქვს იმ ადამიანის ფსიქოლოგიასთან, რომელსაც გახდომა უნდა და საჭმელს არ ჭამს. რატომ შეიძლება ანორექსია დაემართოს ყოფილ პრეზიდენტს, რომელიც ახლა ციხეშია? — ეს ანორექსიაა, თუ შიმშილობა? ანუ, ეს დაავადებაა, თუ პიროვნების გადაწყვეტილება? შიმშილობის ფონზე შეიძლება რაღაცა სირთულეები გაუჩნდეს.

გავითვალისწინოთ მარტო სააკაშვილი ხომ არ ყოფილა ციხეში, 27 წელი იყო ციხეში ნელსონ მანდელა, რომელსაც არათუ რაღაცა დაავადებები დაემართა, არამედ გაკაჟდა. მისი ეს შეუპოვრობა ხალხმა დააფასა და პრეზიდენტად დასვეს. ამ შემთხვევაში სააკაშვილს ცუდ სამსახურს უწევენ მისი ახლობლები, როცა უნდათ წარმოაჩინონ, რომ დასუსტდა და უძლურია, ე.ი. თუ სააკაშვილი ასეთი სუსტი არსებაა, პოლიტიურ არენაზე გამოშვებას არ იმსახურებს“, — აღნიშნა **რამაზ საყვარელიძემ.**

თამთა ქარჩავა

ჩეხეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, პროფესორ ევა ზაჟიმალოვას ვიზიტი საქართველოში

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას მიმდინარე წლის 2 მაისს ფრიად საქმიანი და საინტერესო ვიზიტით ეწვია ჩეხეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი **ევა ზაჟიმალოვა** და სენატორი, ჩეხეთის პარლამენტის განათლების, კულტურისა და ადამიანთა უფლებების კომიტეტის თავმჯდომარე **ირჟი დრაჰოსი**. სტუმრებს უმასპინძლა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **გიორგი კვესიტაძემ,** ვიცე-პრეზიდენტმა **როინ მეტრეველმა** და აკადემიკოს-მდივანმა **რამაზ ხუროძემ;** შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ: აკადემიკოსები — **თინათინ სადუნიშვილი, შოთა ჯაფარიძე, ზურაბ ქევანიშვილი, რამაზ ხეცურიანი, თამაზ შილაკაძე,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი **გიორგი შარვაშიძე** და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი **დავით გურგენიძე**.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა და სტუმრებს მიესალმა აკადემიის პრეზიდენტი გიორგი კვესიტაძე. აღსანიშნავია, რომ ჩეხეთის აკადემიის პრეზიდენტი ევა ზაჟიმალოვა გახლავთ ბიოქიმიკოსი, მას სამეცნიერო ხარისხი სწორედ ბიოლოგიის დარგში აქვს მოპოვებული, იგი პრაღის ჩარლზის უნივერსიტეტის პროფესორია და ხელმძღვანელობს მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტებს, ასევე მნიშვნელოვან სასწავლო პროგრამებს ჩარლზის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პრაღაში და სამხრეთ ბოჰემიის უნივერსიტეტში ჩესკე ბუდეჯოიცეში.

ქალბატონი ევა ჩეხეთის რესპუბლიკის სწავლული საზოგადოებისა და ევროპის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის წევრია, ავტორია ორიგინალური სამეცნიერო ნაშრომებისა, რომელებიც გამოქვეყნებულია ცნობილ საერთაშორისო ჟურნალებში.

ჩეხეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს მიესალმნენ: აკადემიკოს-მდივანი რამაზ ხუროძე, თსუ რექტორი გიორგი შარვაშიძე, სტუ რექტორი დავით გურგენიძე, აკადემიკოსი თინათინ სადუნიშვილი და აკადემიკოსი ზურაბ ქევანიშვილი.

თავის გამოსვლაში ჩეხმა სენატორმა ირჟი დრაჰოსმა აღნიშნა, რომ ამჟამად ჩეხეთის მეცნიერებათა აკადემიაში 1011 წევრია მეცნიერების სხვადასხვა დარგში. ჩვენი თანამშრომლობისთვის შესაძლებელია ცნობილი მეცნიერებისთვის ახალი გზების მოძიება.

ვიცე-პრეზიდენტმა როინ მეტრეველმა შეხვედრაზე აღნიშნა, — „წელს ჩეხეთის მეცნიერებათა აკადემიას დაარსებიდან 70 წელი შეუსრულდა; ჩვენ უძველესი დროიდან ვთანამშრომლობთ ჩეხებთან, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში საქართველოში ჩეხი ხალხის პატარა ჯგუფი დასახლდა, რომელთაგან რამდენიმე ძალიან გამოჩენილი პიროვნება გახლდათ. მათ შორისაა იოსებ რატილი — ჩეხი მომღერალი (ტენორი), ლოტბარი, იგი 1880 წლიდან თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი იყო, ხოლო 1885 წელს სათავეში ჩაუდგა ლადო აღნიაშვილის მიერ შექმნილ ხალხური სიმღერის გუნდს. მისი სახელი უკვდავყოფილია საქართველოში. აღსანიშნავია, რომ ჩეხურ ენაზე თარგმნილია „ვეფხისტყაოსანი“ იერომირ იედლიჩკას მიერ. ხოლო იულიუს ფუჩიკის — მწერლის, თეატრის კრიტიკოსის, ლიტერატორისა და პუბლიცისტის პიესები დღემდე იდგმება ქართული თეატრების სცენაზე. საქართველო ყოველთვის იყო დაინტერესებული ჩეხური კულტურით და პირიქით. მოხარული ვართ, რომ ასეთი მშვენიერი პრეზიდენტი ჰყავს ჩეხეთის მეცნიერებათა აკადემიას, თქვენი ვიზიტი ჩვენი კეთილი ურთიერთობების საწინდარი იქნება“.

შეხვედრის დასასრულს, ჩვენთან საუბარში ჩეხეთის აკადემიის პრეზიდენტმა ევა ზაჟიმალოვამ აღნიშნა, რომ სამომავლოდ სურთ თანამშრომლობის გაგრძელება არა მხოლოდ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან, არამედ უნივერსიტეტებთანაც. როგორც მან გვითხრა, — „ეს შეხვედრა ზოგადი ხასიათისაა, მაგრამ სამომავლოდ განვსაზღვრავთ ზუსტი მეცნიერებების, ეკოლოგიის, ბიოტექნოლოგიის, ხელოვნური ინტელექტის დარგებში თანამშრომლობას და ასევე შესაძლებელია გაფორმდეს ორმხრივი ხელშკრულება“.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

დიდი მეფის სახელობის პრემიის ახალი ლაურეატები

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეცნიერო პრემია „თამარის“ რიგით მესამე დაჯილდოება გაიმართა. ცერემონიას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრო.



სამეცნიერო პრემია „თამარი“ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა 2017 წელს დააფუძნა და ის უნივერსიტეტში მოღვაწე მეცნიერებს კონკურსის წესით, სამეცნიერო აქტივობების საფუძველზე, ორ წელიწადში ერთხელ ენიჭებათ. პრემიას სახელი საქართველოს მეფის — თამარის პატივსაცემად ეწოდა. ინიციატივა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით განხორციელდა.

მიმდინარე წელს სამეცნიერო დარგის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის სამეცნიერო პრემია „თამარი“ გადაეცათ სამართალმცოდნეს, იურისტს, მეცნიერსა და პოლიტიკოსს **მინდია უგრეხელიძეს** და სამართლის დოქტორს, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აფილირებულ პროფესორს **ბექა ქანთარიას.**

I **პრემიის მფლობელი** კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო პროგრამის თანახელმძღვანელი, დეკანის მოადგილე სამეცნიერო მიმართულებით, აგრარულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, მოწვეული პროფესორი **დავით მაღრაძე** გახდა;

II **პრემია პროფესორ სოფიო კასრაძეს** ერგო;

III პრემია კი საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესორს, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორს **ვახტანგ მაისაიას** გადაეცა.

ასევე, პრემია „ახალგაზრდა მეცნიერისთვის“ გადაეცა სამართლის ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს **თამთა წირქვაძეს.**

გამარჯვებულებს ფულადი ჯილდოები და სპეციალურად შექმნილი „თამარის მედლები“ გადაეცათ.

დიდი მათემატიკოსი, მეცნიერების ორგანიზატორი და მთაწმინდის უკვდავი ბინადარი

შესრულდა 115 წელი გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, მსოფლიოში აღიარებული მათემატიკოსისა და მექანიკოსის, აკადემიკოს ილია ვეკუას დაბადებიდან. 1907 წლის 23 აპრილს (6 მაისს) საქართველოს თვალწარმტაცი მხარის – აფხაზეთის სოფელ შეშელეთში, ნესტორ ვეკუასა და ლიზა აბშილავას ოჯახში გაჩნდა ვაჟი, ილიკო, რომელსაც ბედმა არგუნა გამხდარიყო ქართული მათემატიკური სკოლის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი, გამოჩენილი მეცნიერი და მეცნიერების ორგანიზატორი, თბილისის უნივერსიტეტის რექტორი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

1925 წელს ზუგდიდში საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ილია ვეკუა ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1930-33 წლებში მან ასპირანტურის კურსი გაიარა ლენინგრადის უნივერსიტეტში აკადემიკოს ა.კრილოვის ხელმძღვანელობით. 1937 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „დრეკადი ტალღების გავრცელება უსასრულო ფენაში“, 1939 წელს კი სადოქტორო დისერტაცია – „ელიფსური ტიპის დიფერენციალურ განტოლებათა ამონახსნების კომპლექსური წარმოდგენა და მისი გამოყენება სასაზღვრო ამოცანების ამოხსნისათვის“. 1940-1944 წლებში ილია ვეკუა უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანია, ხოლო 1944-47 წლებში – უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო მუშაობის დარგში.

1946 წელს ილია ვეკუა აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. 1947-1950 წლებში ის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარეა, ხოლო 1948-51 წლებში აკადემიის აკადემიკოს-მდივანი.

1951 წელს ილია ვეკუა სამუშაოდ გადადის მოსკოვში, თავიდან აეროჰიდროდინამიკის ინსტიტუტში, ხოლო 1952 წლიდან მ.ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე კათედრის გამგედ და 1953 წლიდან, პარალელურად, მეცნიერებათა აკადემიის ვ.სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ. 1958 წელს ილია ვეკუა არჩეულ იქნა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

1958 წლიდან ილია ვეკუა აქტიურად ჩაერთო საკავშირო აკადემიის ციმბირის განყოფილებისა და ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის ჩამოყალიბებაში. 1959 წელს ის დაინიშნა ახლად შექმნილი ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის პირველ რექტორად. აღნიშნულ უნივერსიტეტში, რომელიც რუსეთის საუკეთესო უნივერსიტეტების ხუთეულში შედის, დღესაც დიდი მადლიერებით იხსენებენ იმ წვლილს, რომელიც ბატონმა ილიამ შეიტანა ციმბირში მეცნიერების ამ დიდი კერის ჩამოყალიბების საქმეში.

1964 წელს ილია ვეკუა ბრუნდება საქართველოში, ის ჯერ ინიშნება მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტის თანამდებობაზე, ხოლო 1965 წლიდან სათავეში უდგება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. რექტორად მუშაობის პერიოდში მან რამდენიმე ახალი ფაკულტეტი, კათედრა თუ კაბინეტი დააარსა, შექმნა გამოყენებითი მათემატიკის პრობლემური ლაბორატორია, რომლის ბაზაზეც 1968 წელს დააარსა ახალი ტიპის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება – გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი. მისი რექტორობისას, 1968 წელს დასრულდა უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მშენებლობა და მთელი ქვეყნის მასშტაბით, საზეიმოდ აღინიშნა უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავი.

ილია ვეკუა და ნიკო მუსხელიშვილი

1972-1977 წლებში ილია ვეკუა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტია. აკადემიის ცხოვრების ეს ეტაპი დაკავშირებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წიაღში წარმოებულ კვლევათა სპექტრის მკვეთრ გაფართოებასთან. ქვეყნის მეცნიერულ პროდუქციაში ფუნდამენტური მიმართულებით წარმოებულ კვლევებთან ერთად გაიზარდა გამოყენებითი ხასიათის კვლევების წილიც. ილია ვეკუას პრეზიდენტობის პერიოდში აკადემიაში ჩამოყალიბდა ბიოფიზიკის ინსტიტუტი, არქეოლოგიური კვლევების ცენტრი, უნიკალური სამეცნიერო აპარატურის შესაქმნელად სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო და სხვა.

დიდია ილია ვეკუას სამეცნიერო მემკვიდრეობა. მისი შრომები მათემატიკისა და მექანიკის აქტუალურ პრობლემებს ეხება. იგი იკვლევდა თეორიული და გამოყენებითი მათემატიკის მრავალი დარგის საკითხებს, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია კერძოწარმოებულიანი განტოლებების თეორიას. მან ელიფსური განტოლებებისათვის დაამუშავა ამონახსნთა ზოგადი წარმოდგენების თეორია და შესაძლებელი გახადა მისი გამოყენება სასაზღვრო ამოცანების შესასწავლად, რასაც მიუძღვნა მონოგრაფია „ელიფსურ განტოლებათა ამოხსნის ახალი მეთოდები“, რომელსაც მიენიჭა სტალინური პრემია. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ერთგანზომილებიან სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიაში. განიხილა ფუნქციათა თეორიის ერთობ ზოგადი სასაზღვრო ამოცანა, ახლებურად გაიაზრა მისი ბუნება, გამოიკვლია ამოხსნადობის საკითხი და მოგვცა ინდექსის გამოსახულება, რომელიც საფუძვლად დაედო ღრმა განზოგადებებს ელიფსური დიფერენციალური ოპერატორების ინდექსის პრობლემასთან დაკავშირებით. დაამუშავა განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა თეორია, რომელიც კლასიკურ ანალიზურ ფუნქციათა თეორიის არსებითი გაფართოებაა. მის მონოგრაფიას „განზოგადებული ანალიზური ფუნქციები“ მიენიჭა ლენინური პრემია. მან შემოგვთავაზა გარსთა მათემატიკური თეორიის ახალი ვარიანტები „იერარქიული მოდელები. მონოგრაფიისათვის „გარსთა თეორიის სხვადასხვა ვარიანტების აგების ზოგიერთი ზოგადი მეთოდი“ ილია ვეკუას (გარდაცვალების შემდეგ) მიენიჭა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია. აღნიშნული სამივე მონოგრაფია ინგლისურ ენაზეა გამოცემული ცნობილი უცხოური გამომცემლობების მიერ.

ილია ვეკუას სახელი გასცდა მშობლიური ქვეყნის ფარგლებს და საერთაშორისო აღიარება პოვა. მისი ფუძემდებლური ნაშრომები მათემატიკისა და მექანიკის დარგში, რომლებიც კარგა ხანია შესულია მეცნიერების მსოფლიო საგანძურში, დიდხანს იქნება შთაგონების წყარო მეცნიერთა მრავალი თაობისათვის.

ილია ვეკუას მრავალმხრივმა სამეცნიერო-პედაგოგიურმა, სამეცნიერო-ორგანიზატორულმა და საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ მაღალი შეფასება დაიმსახურა და აღინიშნა არაერთი სახელმწიფო ჯილდოთი. იგი იყო საბჭოთა კავშირის სოციალისტური შრომის გმირი. ილია ვეკუას სახელი მიენიჭა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. მის სახელს ატარებს ასევე თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 42-ე საჯარო სკოლა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ დააწესა ილია ვეკუას სახელობის სამეცნიერო პრემია.

აღსანიშნავია ილია ვეკუას გამორჩეული პიროვნული თვისებები. მისი პრინციპულობა და სიმტკიცე შეხამებული იყო განსაკუთრებულ გულისხმიერებასთან ადამიანების მიმართ.

ი. ვეკუა გარდაიცვალა 1977 წლის 2 დეკემბერს. მადლიერმა ქართველმა ხალხმა იგი საქართველოს ღირსეულ შვილთა სავანეს – მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა სავანეს მიაბარა. გავა წლები, მაგრამ დავიწყებას არ მიეცემა გამოჩენილი მეცნიერის, შესანიშნავი ადამიანის, პატრიოტისა და მოქალაქის – ილია ვეკუას ნათელი სახე.

ილია ვეკუა, გიორგი წერეთელი, ივანე ბერიტაშვილი, ნიკოლოზ მუსხელიშვილი, გიორგი ძოწენიძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი.

◎ ლეგიონერი

დუბლის კონტურები

თორნიკე შენგელიამ რომ ზუსტად იმ კლუბს მიაგნო, სადაც სრულად ავლენს საკუთარ პოტენციალს, „ვირტუს ბოლონიაში“ გატარებული პირველი არასრული სეზონიც მოწმობს.

უკვე გაუწყეთ, რომ „სერია-ა“-ს რეგულარული ჩემპიონატის მოგების შემდეგ ეს გუნდი „სკუდეტოს მოპოვების მთავარ პრეტენდენტად ითვლება, ამ დღეებში კი ევროთასის დაუფლების რეალური შანსიც გაუჩნდა, რადგან ფინალურ მატჩში თურქულ „ბურს ასფორს“ 11 მაისს თავის დარბაზში უმასპინძლებს.

აღსანიშნავია, რომ იტალიელთა ქართველმა ლეგიონერმა პლეი-ოფის გადამწყვეტ შეხვედრაში „ვალენსიასთან“, თანაც სტუმრად მოგებულ ბრძოლაში 85:73, პარტნიორთაგან ყველაზე შედეგიანად ითამაშა – 15 ქულა, ხოლო აპენინელთა მომავალმა მეტოქემ ამავე ეტაპზე გიორგი შერმადინის ყოფილი კლუბი „ანდორა“ დაამარცხა 85:68.

დავძენთ, რომ სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში 19-21 მაისს დანიშნულ ევროლიგის ოთხთა ფინალის საწყის რაუნდში კვარტეტი ასე დაწყვილდა: „რეალი“ – „ბარსელონა“, „ეფესი“ – „ოლიმპიაკოსი“.

◎ კორტზე

მაინც იბრძოლა

მსოფლიოს მე-7 ჩოგანს, 18 წლის ესპანელ ვუნდერკინდს კარლოს ალკარასს შვედ ლეგენდას ბორინ ბორგსა და გრუნტის მეფე რაფაელ ნადალს უკვე ადარებენ, ასე რომ, ის მარცხი, რომელიც ნიკა ბასილაშვილმა კორტის მასპინძელთან მადრიდის მასტერსის მეორე წრეში იწვნია – 3:6, 5:7, მოულოდნელობას ნამდვილად არ წარმოადგენდა.

პირიმით, დადებითად უნდა შეფასდეს ის წინააღმდეგობა, რომელიც ჩვენმა აწეწილი პირადი ცხოვრებითა და სასამართლო პროცესებით ფსიქოლოგიურად გამოფიტულმა თანამემამულემ მრისხანე ახალგაზრდა მეტოქეს გაუწია, განსაკუთრებით – მეორე პარტიაში, რომლის სტარტზე ბრეიქით დაწინაურდა კიდეც, მაგრამ...

აღსანიშნავია, რომ ბასილაშვილს 27-ჯერ(!) მოუწია მეორე მოწოდების შესრულება, პირველთან მისი შეხვედრების ანგარიში კი 0:2 გახდა. ამავე ტურნირის მერვედფინალში დაწყვილდნენ ნოვაკ ჯოკოვიჩი და ენდი მარეი, რაც ახლო წარსულში ნაადრევი ფინალის ტოლფასი ბრძოლა იქნებოდა. კოვიდრეგულაციების გაუთვალისწინებლობის გამო თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში შერისხულმა სერბეთის სიამაყემ კარიერაში მე-18 მატჩი ისე მოუგო პენსიაზე გასასვლელად გამზადებულ ფრანგ ვეტერან გაელ მონფილსს, რომ მასთან ერთხელაც კი არ შერცხვენილა, ხოლო ტრავმებისგან განამტკიცებულმა და მკვდრეთით აღმდგარმა შოტლანდიელმა მამაცმა გულმა კანადელი კერკეტი კაკალი დენის შაპოვალოვი პროგნოზების საწინააღმდეგოდ გატეხა.

◎ დოჰიოზე

ერთბაშად – ექვსით!

კვირას სუმოს მექაში – ტოკიოს „როგოკუ კოკუგიკანში“ დაიწყება სუმოისტთა სეზონის მორიგი სუპერტურნირი – ნაცუბაშო, რომელიც 22 მაისამდე გასტანს.

კიდევ ერთ გამოწვევას სოლიდური დაწინაურებით ხვდება დასავლეთის აწ უკვე ყოფილი მე-15 მაეგაშირა ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი), რომელიც იაპონიის სუმოს ასოციაციის მიერ გამოქვეყნებულ განახლებულ რეიტინგში (ბანძუკე) უკვე დასავლეთის მე-9 მაეგაშირას რანგშია აღზევებული. შეგახსენებთ, რომ ყოფილმა ოძეკმა პროფესიული კარიერა 16 წლის წინათ დაიწყო, ისტორიული გამარჯვება კი 2018 წლის იანვარში მოიპოვა, როცა ჰარუ ბაშოზე ყველაზე პრესტიჟულ იმპერატორის თასს დაეუფლა. ჯერჯერობით ქართველი რიკიშის აქტივში 96 ჩატარებული ბაშოა, აქედან 76 – უმაღლეს მაკუუჩი – დივიზიონში, ამიტომ დიდოსტატური ნიშნულის – 100 ბაშოს შესასრულებლად „ტოჩი“, სავარაუდოდ, სეზონის ბოლომდე იასპარეზებს ელიტურ დოჰიოზე.

◎ ფეხბურთი

უკანასკნელ წლებში თბილისისა და ბათუმის დინამოელთა შეხვედრებმა ქართული ელ კლასიკოს სტატუსი დედაქალაქელთა და ქუთაისის „ტორპედოს“ მატჩებს ჩამოართვა, რადგან ზღვისპირელებმა თანდათან ალღო აუღეს მუდმივ ფავორიტთა უხერხულ მეტოქეობას და გასულ სეზონში იქაურ ბულვარში გახსნილი ახალი ევროსტანდარტების შესაბამისი კოპწია სტადიონი პირველი გაჩემპიონებით აღნიშნეს.

ადვილი შესაძლებელია, ვითარება „კრისტალბეთ“ ეროვნულ ლიგაში წლეულსაც უცვლელი დარჩეს, რადგან აჭარულმა კლუბმა სოლიდური შევსება მიიღო „ნაპოლიში“ გადაბარგებამდე კონდიციების შესანარჩუნებლად დამატებული ხვიჩა კვარაცხელიასა და ზურიკო დავითაშვილის სახით, რომლებმაც ჯოვინო ფლამარიონთან ერთად მრისხანე დამრტყმელი ტრიო შექმნეს.

დროი იცვალნეენ...

საპირისპირო ვითარებით შეხვდა პრინციპულ დუელს „თეთრ-ლურჯთა“ კრებული, რომელსაც წინა ტურში რიონისპირელებთან სკანდალურად ჩაშლილი მორიგი „ქვასროლიობისა“ და ჩხუბის შემდეგ, მართალია, ტექნიკური გამარჯვება კი ჩაეთვალა, მაგრამ დისკვალიფიკაციის გამო გუნდის კაპიტანი პაპავა და რამდენიმე ტრავმირებული მოთამაშე გამოაკლდა. მართალია, ამავე მიზეზით ბრაზილიელი ლიდერი ვერც სტუმრებს დაეხმარა, მაგრამ შესვენების შემდეგ ისინი მაინც დაეუფლნენ უპირატესობას და მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დააბრალონ, ზედიზედ მეორე ფრის გამო ძვირფასი ქულები რომ დაკარგეს – 0:0.

როცა გია გეგუჩაძის შეგირდთა გამოცოცხლებაზე ვსაუბრობთ, არც მის კოლეგას – კახა ცხადაძეს უნდა დავუკარგოთ პირველი ტაიმისთვის ახალგაზრდული კონტინგენტის სათანადოდ დამუხტვა, რაც ლაზარე კუპატაძის კარის ძელის ორჯერ „შეწუხებაში“ გამოიხატა. ასეა თუ ისე, ღირსეულ მოწინააღმდეგეთა დუელი იმ შედეგით დასრულდა, ყველაზე უფრო გორის „დილას“ რომ აწყობდა, რომელმაც ქუთათურებთან მოპოვებული საშინაო გამარჯვებით – 2:0 სატურნირო ცხრილში ერთპიროვნულად დაწინაურებულ ბათუმელებთან ჩამორჩენა 2 პუნქტამდე შეამცირა.

თავის მხრივ, კონკურენტის შეფერხებით მშვენივრად ისარგებლა აგრეთვე „საბურთალომ“, რომელმაც მეორე ტაიმში დააშამათა „გაგრა“ – 3:0 და თბილისის „დინამოსგან“ 1 ქულაღა აშორებს.

◎ ჩემპიონთა ლიგა

უფსკრულის პირას

ჩვენთვის ასე ტკბილად მოსაგონარ 1981 წელს „ლივერპულმა“ პარიზის „პარკ დე პრენსზე“ მაშინდელი ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალში კენედის ერთადერთი გოლით მადრიდის „რეალი“ დაამარცხა (სხვათა შორის, წელსაც მას შეხვდება), მაგრამ შემდეგ, ერთი ვერსიით – შიშის გამო, ხოლო უფრო სარწმუნო საბაბით – გარკვეული პოლიტიკური თუ კომერციული ფაქტორების მომიზეზებით უარი განაცხადა თბილისის „დინამოსთან“ სუპერთასისათვის შეხვედრის გამართვაზე.

ვერ გეტყვით, უეფამ რატომ არ მიმართა იძულებით ზომებს, უფრო სარწმუნოდ კი მანამდე ორი წლის წინათ ნოდარ ახალკაცის ხმაშეწყობილ ანსამბლთან ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე მერსისაიდელთა შერცხვენით გამოწვეული თავმოყვარეობის შელახვა გამოიყურება – ზედიზედ ორჯერ ვიღაც კავკასიელებთან შესაძლო ფიასკო ფეხბურთის სამშობლოს ამაყ წარმომადგენელთათვის მეტისმეტი იქნებოდა.

ბედის ირონიით, ყველაზე პრესტიჟული, ოღონდ ამჯერად ჩემპიონთა ლიგად წოდებული ევროტურნირის სატიტულო ბრძოლასაც წლეულს საფრანგეთის დედაქალაქი უმასპინძლებს, რომელსაც ეს პატივი უკრაინაში შეჭრილი რუსული სანკტ-პეტერბურგის სანქციერების შედეგად ხვდა წილად და მისი მონაწილე კვლავ „ბითლზების“ ქალაქის გუნდი იქნება, მაგრამ საამისოდ მას და მის მწვრთნელ იურგენ კლოპს საინფარქტო თავგადასავალი გადახდა თავს.

ვიდრე „ლა კერამიკას“ სტადიონზე განვითარებულ გაუთვალისწინებელ მოვლენებზე გადავალთ, გაუწყებთ, რომ საპასუხო ნახევარფინალურ რაუნდამდე რამდენიმე დღით ადრე 54 წლის გერმანელმა სპეციალისტმა, რომელიც „წითლებს“ 2015 წლიდან თავკაცობს, მათთან კონტრაქტი 2026 წლის ზაფხულამდე გაახანგრძლივა. ალბათ, ძნელად თუ წარმოიდგენდა ამ ფაქტით ბედნიერი დიდი მაესტრო, რომ შესვენებამდე ჭირის ოფლში მოუწევდა გაწურვა...

„ვილიარეალი“ – „ლივერპული“ 2:3
(პირველი ტაიმი – 2:0)
(პირველი მატჩი – 0:2)

„ყვითელი კრეისერი“ მეორედ მიცურდა ნახევარფინალამდე, მაგრამ ამჯერადაც ბრიტანელებმა ჩაძირეს (პირველ შემთხვევაში „არსენალმა“). არადა, პირველი ტაიმის შემდეგ ჰაერში ხმაურიანი სენსაციის სუნი ტრიალებდა.

ხუმრობა ხომ არაა – პირველი მატჩის შემდეგ მოპოვებული ორბურთიანი უპირატესობა გაფლანგა გრანდმა, რომელსაც ჩემპიონთა ლიგაში გამართული ბოლო 14 გასვლითი თამაშიდან 11 მოგებული ჰქონდა, აქედან 4 – ზედიზედ. მასპინძელთა ფეერიულ სტარტს კიდევ უფრო მეტ წონას სძენდა წინა ეტაპის გმირის – ტრავმირებული დანჯუმას არყოფნა, მწყობრში დაბრუნებული ახალგამოჯანმრთელებული ლიდერი ხერარდო კი შორსაა ჩვეული კონდიციებიდან.

მოკლედ, ყველაფერი პირენეული ზღაპრისკენ მიდიოდა, მაგრამ კლოპი იმიტომ არის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული და მაღალანაზღაურებადი თანამედროვე მწვრთნელი, რომ ბრძოლის განახლებამდე განხორციელებული ერთი ცვლილებით არანაკლებ ამბიციურ და საკმაოდ წარმატებულ კოლეგა უნაი ემერისთან ერთად საზეიმოდ მომართული მთელი ტრიბუნები დაადუმა.

დიახ, მინდორზე კოლუმბიელი ახალწვეულის – დიასის გამოჩენით კიდევ უფრო გაბითურდა მასპინძელთა სუსტი წერტილი – არგენტინელი მარჯვენა მცველი ფოიტი, ხოლო მისმა თანამემამულე მეკარემ რულიმ ელვისებური იერიშებით თამაშის იშტაზე მოსული ფავორიტები ბავშვური შეცდომებითა და დამამცირებლად ფეხებს შუა გაშვებული გოლებით დაასაჩუქრა.

მთლიანობაში „ვილიარეალი“ ქებას იმსახურებს გოლიათთან დავითისეული შებმისათვის, „ლივერპული“ კი იმისათვის, რომ მაშინ გაისროლა, როცა დასჭირდა.

„რეალი“ – „სიტი“ 3:1 (3:4).

„სამეფო კლუბმა“ კიდევ ერთხელ ჩაიდინა სპორტული გმირობა და ბოლო წუთებზე შესრულებული როდრიგოს დუბლით თამაში დამატებით დროში გადაიყვანა, სადაც უკვე ბენზემამ თქვა ომახიანი სიტყვა.

აღსანიშნავია ანჩელოტის მიღწევაც, რომელმაც უკვე მეხუთე გუნდი გაიყვანა ჩემპიონთა ლიგის ფინალში.

დაბოლოს: სოტბის აუქციონზე მარადონას ისტორიული მაისური, რომლითაც 1986 წელს ინგლისს 2 ბურთი გაუტანა, სარეკორდო – 8.75 მილიონ დოლარად გაიყიდა.

პატრიარქი: მჯერა, პატარა კიტა-კონსტანტინე წულუკიძის უკვდავი სული სავანესა მართალთასა დაიმკვიდრებს და შემწედ და მფარველად მოგევლინებათ!

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა **ნიკოლოზ წულუკიძესა** და **თეკლა კოსტავას,** მათი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს მიუსამძიმრა.

„პატარა კიტა-კონსტანტინეს გარდაცვალებას ყველა გლოვობს და გულითადი თანამონაწილეა თქვენი მწუხარებისა. ჩვენგანაც მიიღეთ სამძიმარი და თანაგრძნობა იმ დიდი ტკივილის გამო, რასაც ბავშვთან განშორებით განიცდით; მაგრამ უნდა გახსოვდეთ, რომ ეს განშორება დროებითია, რომ სიცოცხლე სიკვდილით არ მთავრდება, არამედ სწორედ გარდაცვალების შემდეგ იწყება მარადიული ცხოვრება, მონათლულ ყრმათათვის კი, — როგორიც კიტა-კონსტანტინეა, — მარადიული ნეტარი ცხოვრება. მჯერა, მისი უკვდავი სული სავანესა მართალთასა დაიმკვიდრებს და შემწედ და მფარველად მოგევლინებათ. თქვენ კი უფალმა გაგაძლიეროთ რწმენაში, მოგცეთ მშვიდობა და ღვთის გზით დაუბრკოლებელი სვლის უნარი. აღდგომილმა მაცხოვარმა დაგიცვათ და განგამტკიცოთ, ამინ. ქრისტე აღსდგა!“

დედაქალაქის მერმა **კახა კალაძემ** ტელეწამყვან ნიკოლოზ წულუკიძის შვილის ტრაგიკულად გარდაცვალების გამო მწუხარება გამოთქვა.

„ჩვენი უახლოესი ადამიანის, ყველასათვის ნაცნობი და საყვარელი ნიკოლოზ წულუკიძის ოჯახში დიდი ტრაგედია დატრიალდა. მინდა, მივუსამძიმრო ოჯახს, ნათესავებს, სრულიად საქართველოს. ძნელია სიტყვების გამოძებნა. დიდი ტრაგედიაა. ნიკას გამძლეობას ვუსურვებ“, — განაცხადა მან.

იანურ მესხი

კიდევ ერთი თვალსაჩინო სოფლის მეურნეობის მუშაკი, უაღრესად კეთილი მეგობარი იანურ მესხი განერიდა წუთისოფელს 87-ე წლის ასაკში.

ბატონი იანურის მიერ განვლილი ცხოვრების გზა ნათელი მაგალითია, როგორ უნდა ემსახურო ოჯახს, სოფელს და მინდობილ საქმეს.

ღირსეული წინაპრების — როგავებისა და მესხების ოჯახში დაბადებული და გაზრდილი ბავშვობიდან შეეგუა შრომას, ამიტომაც არ გასჭირვებია სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობა. წლების განმავლობაში თავკაცობდა მშობლიურ სოფელ ყულიშკარს, სადაც დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. საბაზრო პოლიტიკის ახალ ვითარებასაც თავიდანვე აუღო ალღო და აქტიურად ჩაბმული იყო ბიზნესში, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი საქმიანობა ოჯახურფერმერული მეურნეობის აღორძინების, ახალი კულტურების და ჯიშების მოშენება-გავრცელების საქმეში.

ყოველივე ამას თან ახლდა ბატონი იანურის დიდი ადამიანობა, კოლხური ზნეკეთილობა და უბრალოება, კეთილი საქმეების უანგაროდ კეთება. იყო არაჩვეულებრივად ყურადღებიანი მეგობარი და ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელი.

ზუგდიდის აგრონომთა ასოციაცია ამაყობდა მისი აქტიური წევრობით, მან თავისი საქმიანობით ასოციაციას ავტორიტეტი და აღიარება მოუპოვა.

ბატონი იანური საამაყო იყო ოჯახითაც. მეულღე, შვილები, შვილიშვილები, ახლო ნათესაობა სახელოვანი არიან. იგი მათთვის სათაყვანებელი ადამიანი ბრძანდებოდა. მშვიდობით ჩვენო კარგო და კეთილო იანურ, თქვენისთანა ადამიანებს დავიწყება არ უწერიათ. უფალმა დაგიმკვიდროს მარადიული სასუფეველი.

უახლოესი მეგობრები და ზუგდიდის აგრონომთა ასოციაცია

ამონარიდი დედაქალაქის მთავრობის მორიგი სხდომიდან

თბილისის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა. მთავრობის სხდომაზე კახა კალაძემ სტუდენტების დაფინანსებაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტებისა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდენტების სწავლის დაფინანსების მიზნით, ახალი პროგრამა იწყება.

თბილისის მერის თქმით, ახალი პროგრამის თანახმად, დაფინანსდებიან მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი და მეტი შვილი) წევრი და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდენტები, რომელთაც განცხადების შემოტანის მომენტისთვის თბილისში რეგისტრაცია არანაკლებ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში უდასტურდებათ.

„მოგეხსენებათ, რომ უკვე გვაქვს პროგრამა სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობის მიზნით, რომლის ფარგლებში, თბილისში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ სტუდენტებს ვუფინანსებთ სწავლის საფასურს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ხელშემწყობი პროგრამა, რომლითაც ძალიან ბევრ სტუდენტს დავეხმარეთ. ჩვენ 2021 წელს გავაორმაგეთ ბიუჯეტი. საერთო ჯამში, დაახლოებით, 4 000-მდე სტუდენტი იქნა დაფინანსებული. ამ პროგრამას ვამატებთ ძალიან მნიშვნელოვან მიმართულებას. თბილისის მერია იწყებს ახალ პროგრამას მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტებისა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდენტების სწავლის დაფინანსების მიზნით. რაც შეეხება ახალ პროგრამას, დაფინანსდებიან მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი და მეტი შვილი) წევრი სტუდენტები და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდენტები, რომელთაც განცხადების შემოტანის მომენტისთვის არანაკლებ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში, თბილისში რეგისტრაცია უდასტურდებათ“, — განაცხადა თბილისის მერმა. მისივე თქმით, სტუდენტების დაფინანსების გაცემა სემესტრულად, წელიწადში ორჯერ მოხდება.

„დაფინანსების ოდენობა დამოკიდებულია სტუდენტის მიერ წინა სემესტრში გავლილ საგნებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკული ქულებზე: იქნება 100%-იანი, 70%-იანი დაფინანსებები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და ვფიქრობ, ხელს შეუწყობს სტუდენტებს მრავალშვილიანი ოჯახებიდან და შშმ პირებს. უახლოეს მომავალში მივმართავთ თბილისის საკრებულოს, რომ გაანახორციელონ სტუდენტთა დაფინანსების წესში შესაბამისი ცვლილებები, რომ მაისში შეეძლოთ განცხადებების მიღება“, — აღნიშნა თბილისის მერმა.

გიორგი ბერაძე

საქართველოს ტექნიკურ ინტელიგენციას გამოაკლდა პროფესიონალი მშენებელი, ღირსეული მოქალაქე, კარგი მეგობარი და საზოგადოების შესანიშნავი წევრი.

ბატონი გიორგის სიცოცხლეში განვლილი წლები აღსავსეა კეთილი საქმეებით და სანიმუშო მაგალითია საქმის მცოდნე, მაღალი ზნეობის, კაცთმოყვარეობის, მეგობრობის, თავისი სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარული კაცის ცხოვრებისა.

გიორგი ბერაძის ღვაწლს მიეკუთვნება მრავალი მსხვილი სამრეწველო და სამოქალაქო დანიშნულების ობიექტის მშენებლობა. მშენებლობის საქმეში მის მიერ გაწეული დაუღალავი შრომითი ღვაწლისათვის, ბატონ გიორგი ბერაძეს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მშენებლის წოდება. მისი ბიოგრაფია შეტანილია საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედიაში.

წავიდა ჩვენგან მშენებელთა ღვაწლმოსილი თაობის ღირსეული წარმომადგენელი. უფალმა ნათელში დაუმკვიდროს მას მარადიული სასუფეველი.

საქართველოს მშენებელთა ფედერაცია, სააქციო საზოგადოება „თბილქალაქმშენი“

კოლეგებისა და მეგობრების სახელით:

მერაბ ნიკოლაიშვილი, ბაკურ გულუა, თეიმურაზ ჯანაშია, ნოდარ თოფურია, გურამ კაკულია, რუბენ გახარია, ნუგზარ ჭიჭაღუა, ლევან კურტანიძე, ბადრი ბარბაქაძე, გია ხარატიშვილი, კოტე შენგელია

უახლოესი მეგობრები ბაკურ გულუა, ნუგზარ კახიშვილი, თორნიკე აფაძიძე, გია გვაზავა, რუბენ გახარია, თემურ ჯანაშია, კოტე შენგელია, ნუკრი გოგიტიძე, კახა არდია, სოსო ჯღარკავა, გურამ კაკულია, ზურაბ კუტივაძე, თემურ დანელია, გია ბერაძე, სოსო ხარებავა, მურმან არაბიძე, მერაბ კილაძე, ოთარ ჭითანავა, გია კახეთელიძე, ჯამბულ წულაია, ალეკო ჩოჩია, ბიჭიკო არაზაშვილი, შოთა გვასალია, გია მიძაძე

ღრმა მწუხარებით იუწყებიან უღალატო კოლხი პიროვნების, პროფესიონალი ინჟინრის, ეკლესიათა ქტიტორის, სამეგობროსა და სანათესაოში გამორჩეული ადამიანის

გოგი ბერაძის

გარდაცვალებას და უსამძიმრებენ ოჯახის წევრებს, სანათესაოსა და უახლოეს ადამიანებს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული.

უკრაინაში კიდევ ერთი ჟურნალისტი დაიღუპა

უკრაინაში, ქალაქ იზიუმთან რუსი ოკუპანტების დაბომბვის შედეგად ჟურნალისტი ალექსანდრ მახოვი დაიღუპა.

ალექსანდრ მახოვი მრავალი წლის განმავლობაში ტელეარხებზე „უკრაინა 24“ და „უკრაინა“ მუშაობდა და მიმდინარე სიახლეებს აშუქებდა.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აბრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.

მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

ჩეხეთის დელეგაცია საოკუპაციო ხაზთან, ოძისში

საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად მყოფმა ჩეხეთის რესპუბლიკის პარლამენტის სენატის პრეზიდენტმა მილოშ ვისტრჩილმა, თანმხლებ დელეგაციასთან ერთად, სოფელ ოძისში საოკუპაციო ხაზი მოინახულა.

ოფიციალური რელიზის მიხედვით, საპარლამენტო დელეგაციას ადგილზე ვითარება პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი ბერაიამ გააცნო. მან ჩეხ სტუმრებს რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ქმედებებზე ინფორმაცია მიაწოდა.

„საოკუპაციო ხაზზე ჩეხეთის საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა იმდენად, რამდენადაც სტუმრებს შესაძლებლობა აქვთ, საკუთარი თვალით იხილონ, თუ რა არის რუსული ოკუპაცია და ოკუპაციის მძიმე შედეგები. სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, საკუთარი თვალით ეხილათ ჩაკეტილი გადასასვლელები, მავთულხლართები, უკანონო საზღვრო ინფრასტრუქტურა, აქ პირდაპირი უმძიმესი შედეგია რუსული ოკუპაციის და ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენმა საერთაშორისო პარტნიორებმა ადგილზე ნახონ ეს ყველაფერი და ადგილზე გაეცნონ ოკუპაციის მძიმე შედეგებს.

ეს განსაკუთრებით ეხება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, იმდენად რამდენადაც ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას ევროკავშირის შუამავლობით მოაწერა ხელი საქართველომ და რუსეთის ფედერაციაზე სწორედ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მხრიდან ზეწოლის გაზრდაა მნიშვნელოვანი, რათა მან შეასრულოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების და საერთაშორისო სამართლით ნაკისრი ვალდებულებები“, — განაცხადა ბერაიამ.

მისი თქმით, ის, რაც დღეს უკრაინაში ხდება, 2008 წელს საქართველოში განვითარებული მოვლენების გაგრძელებაა და ამიტომ საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევის კონსოლიდაცია აუცილებელია: **„ეს ძალისხმევა უნდა იყოს უნივერსალური, ზეწოლა უნდა იყოს მზარდი იმისთვის, რომ რუსეთის ფედერაციამ შეასრულოს საერთაშორისო სამართლით ნაკისრი ვალდებულებები და პასუხი აგოს იმ მძიმე შედეგებზე და დესტრუქციულ ქმედებებზე, რომელსაც ის ახორციელებს სუვერენული სახელმწიფოების წინააღმდეგ“.**

საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია საქართველოში

საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ და თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილემ საფრანგეთის რესპუბლიკის გაერთიანებული შტაბის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელს უმასპინძლეს. ლელა ჩიქოვანმა და ბრიგადის გენერალმა ირაკლი ჭიჭინაძემ გენერალ-მაიორ ლორან მარბეფს ვიზიტისთვის, საფრანგეთს პოლიტიკური და პრაქტიკული მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადეს.

შეხვედრაზე საქართველოსა და საფრანგეთს შორის თავდაცვის სფეროში არსებულ მჭიდრო თანამშრომლობაზე გაამახვილეს ყურადღება და მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივები დასახეს, რომელიც სხვადასხვა მიმართულებას მოიცავს. საუბარი შეეხო საჰაერო თავდაცვის, სამთო მიმართულებით თანამშრომლობას, ასევე, ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე სამხედრო-საწვრთნელ მისიაში (EUTM RCA) ერთობლივ კონტრიბუციას.

შეხვედრაზე მხარეებმა უკრაინის მიმართ მტკიცე მხარდაჭერა და სოლიდარობა გამოხატეს და რეგიონში არსებული საფრთხეები და უსაფრთხოების გამოწვევები მიმოიხილეს.

ამერიკა უკრაინას რუსი გენერლების ლიკვიდაციაში ეხმარება

აშშ-ის დაზვერვა უკრაინას რუსული დანაყოფების ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციას აძლევს, რამაც უკრაინის არმიას არაერთი რუსი გენერლის ლიკვიდაციის შესაძლებლობა მისცა.

უკრაინის ხელისუფლება 12 რუსი გენერლის მოკვლის შესახებ ავრცელებს ინფორმაციას. სადაზვერვო ინფორმაცია ასევე მოიცავს რუსეთის ჯარების სავარაუდო გადაადგილებას, რომელიც გამომდინარეობს აშშ-ის ბოლო შეფასებებიდან მოსკოვის საიდუმლო საბრძოლო გეგმის შესახებ აღმოსავლეთ უკრაინაში საბრძოლველად. მედიის ცნობით, მთელი ომის განმავლობაში აშშ-ის სადაზვერვო სააგენტოები იყენებენ სხვადასხვა წყაროებს, მათ შორის საიდუმლო და კომერციულ თანამგზავრებს, რათა თვალყური ადევნონ რუსული ჯარების მოძრაობას.

ელისო ბოლქვაძე იტალიელ კოლეგას ესტუმრა

კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძე და კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ირაკლი მეზურნიშვილი იტალიაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში შეხვედრებს მართავენ. საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის წევრებმა მორიგი შეხვედრა იტალიის პარლამენტის, დეპუტატთა პალატის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარესთან, ვიტორია კაზასთან გამართეს.

შეხვედრაზე საპარლამენტთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელობაზე და კულტურის კომიტეტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებასა და სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრეს. საუბრისას მხარეებმა ხაზი გაუსვეს ქვეყნების დაახლოებისთვის, კულტურისა და ხელოვნების მნიშვნელობას. ვიტორია კაზამ ისაუბრა ორი ქვეყნის მეგობრობის მრავალწლიან ისტორიასა და ერთობლივად გამართულ არაერთ ღონისძიებაზე. იტალიის პარლამენტის დელეგაციამ სურვილი გამოთქვა, სექტემბერში ეწვიოს საქართველოს, რაც ელისო ბოლქვაძის მოსაზრებით, მკაფიო გამოხატულება და მხარდაჭერაა ჩვენი ქვეყნის მიმართ ევროინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე. წელს საქართველო-იტალიას შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის 30 წლის იუბილეა.

ქართული კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციისთვის

ელისო ბოლქვაძე იტალიაში ვიზიტის ფარგლებში, ევროპის ერთ-ერთი უდიდესი საკონცერტო დარბაზის — „Santa Cecilia Hall“ პრეზიდენტს მიკელე დალძონგაროს შეხვდა.

„ვისაუბრეთ სამომავლო თანამშრომლობასა და ორი ქვეყნის ახალგაზრდა მუსიკოსების ერთობლივ პროექტებში ჩართვის შესაძლებლობაზე. საუბარი შეეხო ბათუმის საერთაშორისო მუსიკისა და ხელოვნების ფესტივალს, რომლის ფარგლებშიც ერთი დღე სწორედ საქართველო-იტალიის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის 30 წლის იუბილეს მიეძღვნება. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა კულტურული დიპლომატიის მნიშვნელობაზე. აღვნიშნეთ, რომ ევროინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე საქართველოს დაგეგმილი აქვს მთელი რიგი რეფორმები, რათა კიდევ უფრო გაღრმავდეს კულტურული ურთიერთობები“, — განაცხადა ელისო ბოლქვაძემ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟანჟავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 9 მაისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0384; ევრო - 3.1982
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.8029;
100 რუბლი - 4.5346; თურქული ლირა - 0.2063;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7908;
1000 სომხური დრამი - 6.5890.

ამინდი 6 მაისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +5, დღე +25
მთიანი რაიონები - ღამე +3, დღე +23
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +6, დღე +19
მთიანი რაიონები - ღამე +4, დღე +21
თბილისი: ღამე +10, დღე +22

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge